დანართი 1

1.შამათავა გიორგი-ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე -კომისიის თავმჯდომარე;

2. ხოხობაია მერაბ-დეკანი თავმჯდომარის მოადგილე;

3.მანანა ლობჟანიძე- დეკანის მოადგილე - კომისიის წევრი;

4. მშვენიერეაძე ირმა-სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი- კომისიის წევრი;

5. რაფავა ნუნუ- ტურიზმის სკოლის მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია)-კომისიის წევრი;

6. შორენა ერისთავი-პერსონალის მართვის დეპარტამენტის მოადგილე - კომისიის წევრი;
7. აკაკი მიქაბერიძე-მენეჯერი (საფინანსო საკითხებში) - კომისიის მდივანი;

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ ტურიზმის სკოლის მთავარი სპეციალისტის (I კატეგორია) თანამდებობაზე შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ტურიზმის სკოლის მთავარი სპეციალისტის (I კატეგორია) შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ტურიზმის სკოლის მთავარი სპეციალისტის (I კატეგორია) შერჩევა.

ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1. კომისია დაუსწრებლად აფასებს აპლიკანტის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის განსაზღვრულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ტურიზმის სკოლის მთავარი სპეციალისტის (I კატეგორია) თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.

2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.
4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ტურიზმის სკოლის მთავარი სპეციალისტის (I კატეგორია) თანამდებობაზე შერჩეულად ჩაითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატი დაინიშნება აღნიშნულ პოზიციაზე და გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.